

სახაზინო სამსახურის
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
საქართველოს 2018 წლის იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი
საღდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2018 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 3 860 115.5 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 3 400 087.2 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 33 447.9 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 19 333.0 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 407 247.3 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-აპრილში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (3 400 087.2 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (4 770 552.4 ათასი ლარი) 71.3%;

– გადასახადების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 4 377 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 3 083 962.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 70.5%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 744 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 260 112.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 72.3%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 384 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 973 175.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 70.3%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ (286 937.2 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (360 000.0 ათასი ლარი) 79.7%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 8.7 ათასი ლარი.

– ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 2 711 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 855 960.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 68.5%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 036 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 434 485.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 70.5%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 421 475.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (675 000.0 ათასი ლარი) 62.4%-ია;

– ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 28 500.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 25 223.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.5%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-აპრილში შეადგინა -57 342.5 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 194 543.4 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 202 038.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 103.9%-ია; მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 31 732.2 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 137 680.1 ათასი ლარი;

– „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავის, 34-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი – 14 690.5 ათასი ლარი მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 2 677.6 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 15 257.8 ათასი ლარი (მათ შორის, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 19.3 ათასი ლარი).

„სხვა შემოსავლების“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 198 509.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 114 086.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 57.5%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 2 720.1 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2018 წლის იანვარ-აპრილში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ 33 447.9 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (27 700.0 ათასი ლარი) 120.8%;

მათ შორის:

- შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (31 279.3 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (25 000.0 ათასი ლარი) 125.1%;
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (2 168.4 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (2 700.0 ათასი ლარი) 80.3%;

მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 200.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 980.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 165%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 188.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (1 500.0 ათასი ლარი) 12.5%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 19 333.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (33 000.0 ათასი ლარი) 58.6%-ია.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 407 247.3 ათასი ლარი (რაც საპროგნოზო მოცულობის – 663 628.0 ათასი ლარის 61.4%-ია);

მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – 84 731.6 ათასი ლარი;
- საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 322 515.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (588 696.0 ათასი ლარი) 54.8%-ია; მათ შორის:
- საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები - 135 597.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (363 696.0 ათასი ლარი) 37.3%-ია; მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 65 614.7 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 69 983.0 ათასი ლარი.

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 186 918.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (225 000.0 ათასი ლარი) 83.1%-ია.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 23 139.8 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და

პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, ხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2018 წლის იანვარ-აპრილში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 1 162.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 557 972.6 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 557 888.8 ათასი ლარი ; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 83.8 ათასი ლარი („დაცული ტერიტორიების განვითარება“ (გრანტი).

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 მაისისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 938 591.7 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 938 558.4 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 33.3 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად, სულ 135 002.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსდა კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301-ე დადგენილების „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“, თანახმად, ხაზინის განკარგულებაში არსებული სახსრებიდან, 730 000.0 ათასი ლარი განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 380 619.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2018 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 3 400 087.2 ათასი ლარის მოცულობით (ექვსი თვის გეგმა 4 770 552.4 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 2 874 232.8 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა 4 560 518.5 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 525 854.4 ათასი ლარი, ექვსი თვის გეგმა 210 033.9 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 315 301.9 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით 33 447.9 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 348 749.9 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა 210 552.5 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმა -473 682.4 ათასი ლარი (უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის 28 დეკემბრის №481 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2018 წლის ექვსი თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 5 748 132.8 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 5 318 443.4 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 429 689.4 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 4 598 099.1 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 3 479 496.4 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 3 308 310.0 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 171 186.4 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 75.7%, ხოლო გეგმის 60.5%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2018 წლის იანვარ-აპრილის მთლიან ხარჯებში შეადგინა 95.1%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 4.9%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური

ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-აპრილში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ქრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 693 628.6 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 662 586.7 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 433 956.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 65.5%-ს და საგემო მაჩვენებლის 62.6%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2018 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 646 450.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 432 984.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 353 495.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 81.6%-ს და საგემო მაჩვენებლის 54.7%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2018 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 266 260.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 262 308.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 202 230.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 76% და ვალდებულების 77.1%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 104 026.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (125 951.6 ათასი ლარი) 82.6%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 98 203.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (136 357.3 ათასი ლარი) 72%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 229 489.9 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 149 161.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ 138 546.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.9%-ს და გეგმის 60.4%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2018 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 24 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 18 262.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 76.1% და ვალდებულების 99.98%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 451 964.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 303 083.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (321 246.1 ათასი ლარი) 94.3% და საგემო მაჩვენებლის 67.1%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2018 წლის იანვარ-აპრილში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 280 873.1 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (292 362.3 ათასი ლარი) 96.1%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2018 წლის იანვარ-აპრილში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 115 476.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 538 289.4 ათასი ლარი) 72.5% და საგეგმო პარამეტრის (1 718 928.7 ათასი ლარი) 64.9%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 1 229 230.5 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 802 748.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 65.3%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 568 363.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (858 414.4 ათასი ლარი) 66.21% და გეგმის 66.2%-ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 333 151.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 213 656.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 64.1% და ვალდებულების (326 667.2 ათასი ლარი) 65.4%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 462 980.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 295 419.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 63.8% და ვალდებულების (296 354.8 ათასი ლარი) 99.7%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2018 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 553 795.5 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 469 560.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 327 448.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 69.7%-ს და გეგმის 59.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 293 366.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 194 853.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 66.4% და ვალდებულების (293 340.7 ათასი ლარი) 66.42%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2018 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 711 416.4 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 354 966.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 348 749.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.2%-ს და გეგმის 49%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 296 528.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 118 939.8 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (118 493.4 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.6% და საგეგმო მაჩვენებლის – 39.7%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“, 2018 წლის ექვსი თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განისაზღვრულია 129 911.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 62 285.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 55 797.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 89.6%-ს და გეგმის 43%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2018 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 346 287.0 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 344 709.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 200 716.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 58.2% და გეგმის 58%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 195 634.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (327 627.5 ათასი ლარი) 59.7%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 5 082.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (17 082.0 ათასი ლარი) 29.8%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 818.7 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 396.6 ათასი ლარი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 422.1 ათასი ლარი.

„სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2018 წლის პირველი მაისისთვის შეადგინა 294.7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2018 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 3 222 982.6 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 610 849.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (917 709.7 ათასი ლარი) 66.6%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 104 827.3 ათასი ლარი, რაც

გეგმის (184 033.5 ათასი ლარი) 57% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.2%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 204 016.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (273 141.0 ათასი ლარი) 74.7% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 33.4%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 433 984.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 287 812.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 66.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (3 222 982.6 ათასი ლარი) 8.9%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2018 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 554 254.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 331 115.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 59.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.3%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 182 170.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (296 867.6 ათასი ლარი) 61.4%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (36 674.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 64 443.0 ათასი ლარი) 56.9%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 40 708.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (67 511.0 ათასი ლარი) 60.3%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2018 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 649 770.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 290 870.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 44.8%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (15 267.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (27 260.6 ათასი ლარი) 56%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (50 915.8 ათასი ლარი), გეგმის (82 920.5 ათასი ლარი) 61.4% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 388 735.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 165 854.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 42.7%.

გარემოს დაცვის ხაზით 2018 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 35 369.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 20 650.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 58.4%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2018 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 16 509.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 248.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 43.9%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 1 904.5 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 1 387.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 72.9%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2018 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 552 377.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 341 154.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 61.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.6%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების

დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 385 616.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (257 704.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 66.8%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (48 340.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (78 709.2 ათასი ლარი) 61.4%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 11 745.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (35 998.8 ათასი ლარი) 32.6%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 107 744.3 ათასი ლარით, რაც 2018 წლის ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (190 542.1 ათასი ლარი) 56.6%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 29 491.1 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (19 262.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 65.3%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 613 737.0 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 375 207.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 61.1% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.6%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 196 976.1 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (298 137.4 ათასი ლარი) 66.1%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 44 958.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (90 982.8 ათასი ლარი) 49.4%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 1 307 680.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 850 329.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26.4%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 873 491.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 578 139.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 66.2%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 217 774.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (341 942.3 ათასი ლარი) 63.7%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდათექვსმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 2 089.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 1 017.3 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2018 წლის 1 მაისის მდგომარეობით შეადგინა 1 072.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ათ შემთხვევაში შეადგინა სულ 12 316.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 10 798.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 მაისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 517.9 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამ შემთხვევაში შეადგინა სულ 11 430.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 7 021.1 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 მაისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 4 408.9 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ერთ შემთხვევაში შეადგინა სულ 60.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხარჯი არ გაწეულა.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 20 000.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 40 871.5 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად განისაზღვრა 13 000.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 12 542.0 ათასი ლარი, („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების

დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა - 12 542.0 ათასი ლარი), წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7 000.0 ათასი ლარი. აქედან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 81.0 ათასი ლარი(საკასო ხარჯი – 81.0 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 6 919.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 1 823.6 ათასი ლარი).

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად საკასო ხარჯმა შეადგინა 26 424.8 ათასი ლარი, მათ შორის, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა – 1 385.8 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 1 823.6 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2018 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.